



წყალდიდობა (წყალმოვარდნა)

წყალდიდობა – არის თოვლის დნობის, კოკისპირული წვიმების, მდინარეების, ტბების ან ზღვის წყლის დონის აწევის შედეგად ტერიტორიის ნაწილის დატბორვა. წყალდიდობის მიზეზი შეიძლება იყოს პიდროტექნიკური ხასიათის ავარიები და ზღვის ფსკერზე განვითარებული ბიძგები, ეს უკანასკნელი ტერიტორიების დატბორვასთან ერთად იწვევს წამლეკი ტალღის მოვარდნის შედეგად მასშტაბურ ნგრევას.

როგორ მოვემზადოთ წყალდიდობისათვის:

თუ თქვენი მუნიციპალიტეტი წყალდიდობისაგან ხშირად ზარალდება, შეისწავლეთ და დაიმახსოვრეთ დატბორვის შესაძლო საზღვრები, აგრეთვე თქვენს საცხოვრებელ ადგილთან უშუალო სიახლოვეში მდებარე ამალღებული ადგილები, რომლებიც იშვიათად იტბორებიან და მათთან მისასვლელი უმოკლესი გზები. გააცანით თქვენი ოჯახის წევრებს ევაკუაციის გეგმა და ქცევის წესები კატასტროფის დროს. წინასწარ ჩაალაგეთ სპეციალურ ჩანთაში ევაკუაციის დროს თან წასაღები საჭირო საბუთები, ნივთები და მედიკამენტები, ასევე თბილი ტანსაცმელი. პროდუქტი, წყლისა მარაგი.



როგორ მოვიქცეთ წყალდიდობის დროს:

წყალდიდობის საშიშროებისა და ევაკუაციის შესახებ შეტყობინების სიგნალის მიღებისთანავე დადგენილი წესით დაუყოვნებლივ დატოვეთ საშიში ზონა და გადადით უსაფრთხო რაიონში ან ამალღებულ ადგილას, თან წაიღეთ საბუთები, ძვირფასეულობა, საჭირო ნივთები და კვების პროდუქტების ორდღიანი მარაგი. გაიარეთ რეგისტრაცია საევაკუაციო პუნქტებში. ევაკუაციას ექვემდებარება შინაური ცხოველებიც. სახლიდან გასვლისას გამორთეთ ელექტროენერგია და გაზი, ჩააქრეთ ცეცხლი ღუმელში, შენობის გარეთ მდებარე ყველა მცურავი საგანი დაამაგრეთ ან მოათავსეთ დამხმარე სათავსოებში, თუ თვლით, რომ გაქვთ საკმარისი დრო, ძვირფასი საოჯახო ნივთები გადაიტანეთ სახლის ზედა სართულზე, ან სხვენზე, დახურეთ კარ-ფანჯრები, საჭიროებისა და შესაბამისი დროის არსებობის შემთხვევაში, პირველი სართულის ფანჯრები და კარები ამოტყდეთ გარედან ფიცრებით. წინასწარი სიგნალის არარსებობის შემთხვევაში, დამანგრეველი ტალღის დარტყმისაგან თავდასაცავად საჭიროა სწრაფად დაიკავოთ ამალღებული ადგილი, ადით მსხვილ ხეზე, მყარი ნაგებობების იარუსებზე, თუ იმყოფებით წყალში, ტალღის მოახლოებისას, არ დაიბნეთ და შეშინდეთ, ჩაყვინთეთ მის ფუძესთან ღრმა წყალში. მცირედი დაყოვნების შემდეგ კი (წყალქვეშა ცურვით) ამოყვინთეთ წყლის ზედაპირზე. წყალში მოხვედრისას ცურვა ან მოცურავე საშუალებების გამოყენებით გამოდით მშრალ ადგილას, უკეთესია გზის მიწაყრილზე ან დამბაზე, ეს დაუტბორავ ტერიტორიაზე ადვილად მიღწევის საშუალებას მოგცემთ. ადამიანთა თვითევაკუაცია ფეხით ან ხელმისაწვდომი საცურაო საშუალებებით დასაშვებია შემდეგ შემთხვევებში: თუ პირდაპირ ჩანს დაუტბორავი ტერიტორია, ამოიწურა საკვები მარაგი, გარედან დახმარების მიღება უპერსპექტივო ხდება ან გესაჭიროებათ გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.



წყალდიდობის დროს გამოიჩინეთ თავშეკავება და არ აჰყვეთ პანიკას. წესრიგში უნდა მოივანოთ სანაოსნო მოწყობილობები, ხოლო მათი უქონლობის შემთხვევაში ხელთ არსებული მასალებისაგან (ფიცარი, მორი, ავტოსაბურავი, კასრი და სხვა) შეეცადეთ გააკეთოთ მარტივი საცურაო საშუალებები. თუ თქვენ აღმოჩნდით წყალში, ეცადეთ თავიდან მოიშოროთ მძიმე ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, გაცურეთ დაუტბორავი ადგილისაკენ. ფრთხილად იყავით წყლის ზედაპირზე მოცურავე საგნების მიმართ, რათა თავიდან აიცილოთ შესაძლო ტრავმა. თუ არ ტარდება ორგანიზებული ევაკუაცია, მაშველების მოსვლამდე ან წყლის დონის დაწევამდე ადით შენობის ზედა სართულებზე, სახურავებზე, ხეებზე ან სხვა ამალღებულ ადგილზე. ამავე დროს განუწყვეტლივ გადაეცით სიგნალი უბედურების შესახებ: დღისით – ჯოხზე დამაგრებული კარგად ხილვადი ქსოვილის ნატრის გამოფენით ან მისი სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობით, ხოლო დაბნელებისას – შუქსიგნალი. მაშველების მოახლოებისას მშვიდად, პანიკის გარეშე, ფრთხილად გადადით საცურაო საშუალებაში. ამასთანავე, განუხრელად შეასრულეთ მაშველების მოთხოვნები და მითითებები. მგზავრობის დროს არ დატოვოთ თქვენი ადგილი.

თუ ადამიანი იხრჩობა:

წყალში მყოფ ადამიანს, რომელიც იხრჩობა, გადაუგდეთ მცურავი საგანი, დაუკავშირდით სამაშველო სამსახურს. დაზარალებულამდე ცურვით მიახლოებისას გაითვალისწინეთ მდინარის დინება, თუ წყალში ჩავარდნილი ადამიანი ვერ აკონტროლებს თავის მოქმედებებს, მას მიუახლოვდით უკანა მხრიდან, ხელი ჩაავლეთ და ნაპირისაკენ გაცურეთ.

როგორ ვიმოქმედოთ წყალდიდობის შემდეგ:

შენობაში შესვლამდე შეამოწმეთ, არსებობს თუ არა მისი ჩამოქცევის ან მასზე რაიმე საგნის დაცემის საშიშროება. შენობა გაანიავეთ. არ ჩართოთ ელექტროგანათება, არ ისარგებლოთ ელექტროხელსაწყოებით, ვიდრე არ დარწმუნდებით რომ ისინი კარგად გამოშრა, არ ისარგებლოთ ღია ცეცხლის წყაროებით, არ აანთოთ ასანთი შენობის სრულ განიავებამდე და გაზომარაგების სისტემის გამართულობის შემოწმებამდე. გასინჯეთ დაზიანებულია თუ არა ელექტროგაყვანილობა, გაზომარაგების მილსადენები, წყალსადენები, კანალიზაცია და არ ისარგებლოთ მანამ, სანამ არ დარწმუნდებით მათ გამართულობაში. არ მიიღოთ ის საკვები პროდუქტი, რომელიც დასველდა. არ დალიოთ აუღუღებელი წყალი ადგილობრივი წყლის წყაროებიდან.